ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 06
(საქონლის შესყიდვა)

ა.ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო
სასწავლებელი

21 მარტი 2019 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ა.ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებელი შემდეგში „შემსყიდველი", სასწავლებლის დირექტორის შუშანა ეჯიბიას სახით და მეორეს მხრივ, ი/მეწარმე „თენგიზ წულაია"ს სახით, შემდეგში „მიმწოდებელი" - „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის I პუნქტის, ს ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

,,შემსყიდველი'' ა.ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებელი 2019 წლის საკუთარი სახსრებით, სასწავლებლისათვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ყიდულობს, ხოლო ,,მიმწოდებელი'' ყიდის კომპიუტერული ტექნიკის მომსახურებას (შემდეგში „მომსახურება").

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, შესყიდვის კატეგორია

2.1 ობიექტის დასახელება – კომპიუტერული ტექნიკის მომსახურება
2.2 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.
2.3 შესყიდვის კატეგორია - **50300000** – პერსონალური კომპიუტერების, საოფისე აპარატურის, სატელეკომუნიკაციო და აუდიოვიზუალური მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები.
2.3.1 კლასიფიკატორის (CPV) კოდი - **50312000** - კომპიუტერული მოწყობილობების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **90.00 (ოთხმოცდაათი ლარი და 00 თეთრი)** ლარს (იხ.დანართი №1), საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები:
- საქონლის მიწოდება დაიწყება – 2019 წლის 21 მარტს
- საქონლის მიწოდება დამთავრდება - 2019 წლის 31 მარტის ჩათვლით.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს „შემსყიდველი"ს უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (ინვოისი, მიღება-ჩაბარების აქტი).

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს ახორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის დირექტორი.

7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

7.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით .

7.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 10 (ათი) დღეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

8.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. სხვა პირობები

9.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა.ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლის ადმინისტრაცია.

9.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან: ერთი – მიმწოდებელთან, ერთი – ა.ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებელში. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

9.4 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

(ააიპ) არჩილ ხორავას სახელობის
სკოლისგარეშე სახელოვნებო
სასწავლებლის დირექტორი:

შუშანა ეჯიბია

მის: ქ. ფოთი, ათონელის ქ.№6

ს/კ№215140318

Archil khorava extracurricular art school, NPLE

Подписано цифровой подписью: Archil khorava extracurricular art school, NPLE
DN: cn=Archil khorava extracurricular art school, NPLE, 2.5.4.97=NTRGE-215140318, o=Archil khorava extracurricular art school, NPLE, c=GE
Дата: 2019.03.22 17:28:05 +04'00'

„მიმწოდებელი"

Tengiz Tsulaia

Подписано цифровой подписью: Tengiz Tsulaia
Дата: 2019.03.22 16:12:30 +04'00'

მის: ქ. ფოთი, კოსტავას ქუჩა N3
სს „საქართველოს ბანკი"

ა/ა GE34BG0000000892697600
ს/კ N62001025730

დანართი №1

საქონლის ფასებისა და მიწოდების გრაფიკი

№	საქონლის დასახელება	საქონლის რაოდენობადა განზომილება	ერთეულის ფასი ლარებში	საერთო ღირებულება ლარებში	მიწოდების ადგილი
1	კომპიუტერში ვინდოუსის გადაყენება; ვირუსებისაგან გაწმენდა;	2 ცალი	30,00	60,00	ქ.ფოთი გამსახურდიას #4. ა.ხორავას სახ-ის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებელი
2	პრინტერის შეკეთება	1 ცალი	30,00	30,00	
	სულ:			90,00	

„შემსყიდველი"

„მიმწოდებელი"

ააიპ არჩილ ხორავას სახელობის
სკოლისგარეშე სახელოვნებო
სასწავლებლის დირექტორი:

ინდ. მეწარმე:

შუშანა ეჯიბია

თენგიზ წულაია